მუშათა განთავისუფლება—მუშათა საქმეა

ახალი ნაკადი

ფასი 3 მან.

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთ მაშვრალთა კავშირის ორგანო

კვირა 21 მარტი, ბიბლიოთეკა

№ 2 1920 წ.

რედაქციის ადრესი: ელისაბედის ქ. № 139, ფული უნდა გამოიგზავნოს: რუსთაველის პროსპექტი სტანბა ქართული ბეჭდვითი ამხ., პლ. ლეჟავას.

წელ. 2. გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით წელ. 2.

ამხანაგებო! გახსოვდეთ, რომ **„ახალი ნაკადი“** თქვენი ინტერესების დამცველია. გაიღეთ წვლილი გაზეთის ფონდისათვის და გამოგზავნეთ წერილები. **ამხანაგებო!**

ტფილისი. მარტს 20

ბათომი. უკანასკნელი ცნობების მიხედვით, მოკავშირეების გადაუწყვეტიათ ბათომი პორტო-ფრანკოდ გამოაცხადონ და თუ დაუჯერებთ ზოგიერთ პირის ნააბობს, აზრად აქვსთ შექმნან განსაკუთრებული სახელმწიფო — აჭარისტანი, რომლის დედა-ქალაქიც ბათომი იქნება.

რას ნიშავს ეს? უნდა თამამად და გაბედულათ ითქვას, რომ ეს ნაბიჯი, მოკავშირე სახელმწიფოების მიერ გადადგმული, ფეხით გათელვაა ყოველგვარი სამართლიანობისა, უდიერად შეურაცხყოფაა ყოფოველგვარი ეროვნული თავისუფლებისა. ვენის კონგრესის შავი ხელმძღვანელის მეტერნიხის ეხლანდელი მოადგილენი, ხშირად მოვარაყებული, გაიძვერა ფრაზეოლოგით აბჭყვრიალებულნი, ვაჭრობენ სხვისი ბედნიერებით, ვაჭრობენ ნარდად და ბითუმად და რას დაეძებენ, თუ მათი საქმენი-საგმირონი ვისმეს მძიმე განსაცდელს უმზადებს...

შეიძლება პირდაპირ აღინიშნოს, რომ ეს „გონიერი და გამოქნილი“ დიპლომატები ჰქმნიან დღეს სწორედ იმ პირობებს, რომელშიაც შეუძლია თავისუფლად ინავარდოს ღვარძლიანმა და თავშეუკავებელმა შურის ძიებამ და საშუალება არ მისცეს განაწამებ კაცობრიობას, სული მოიბრუნოს და მართლაც ეზიაროს კაცთა შორის მშვიდობას. ჩვენმა თანამოძმე აჭარლებმა მკაფიოდ და გადაჭრით განაცხადეს: ჩვენ დაუშლელი ერთობითი ვართ დაკავშირებულნი მოძმე ქართველებთან და ეხლაც მათ უნდა შეუვერდეთო.

აპა, რა უნდა ჰქონოდათ ამის საწინააღმდეგო „განათლებული და დემოკრატიული“ სახელმწიფოების წარმომადგენლებს მაგრამ ამოძრავდა „წყეული ლითონი“. ვაჭრული აღებ-მიმცებლობის საქმე დატრიალდა, გუშინდელი მეგობრები, დღეს გაიძვერულად გვიპირებენ მოპარვით ხანჯლის ჩაცემას...

სირცხვილი და სიწითლე ვერ შეაკრთობს მათ. ვინაიდგან ასეთ საქმეებს ჩვეულნი არიან.

ამიერიდან უნდა ვიფიქროთ რომ ბათომი გადაიქცევა საერთაშორისო მეწვრილმანეების სპეკულიაციის ადგილად და ეს გარემოება ყველაზე უფრო სულს ქართველ მშრომელ ხალხს შეუხუთავს. ბათომში ფრანგებისა, ინგლისელებისა და იტალიელების ბათალიონები სწორედ ამ სპეკულიაციის დამცველებად იქ ხებიან და აჭარის უკვე გამოფხიზლებული მშრომელი ხალხი კვლავ განიცდის ალბად ამ დაუპატიჟებელი ხიშტების გავლენას...

ამის შერიგება ყოვლად შეუძლებელია. საქართველოს რევოლიუციური მშრომელი ხალხი მას ვერ მიიღებს და როგორც ერთი კაცი მხხედ და გაბედულად შესძახებს მტერ-მოყვარეთ:

შორს გასვრილი ხელები; ბათომი საქართველოს უნდა ეკუთვნოდეს!

მუშათა მოძრაობა და სინდიკალიზმი საქართველოში.

როგორც ვიცით, საქართველოს მუშათა მოძრაობა ააღორძინა პოლიტიკური ინტერესებით გატაცებულმა წვრილ ბურჟუაზიულმა ინტელიგენციამ, რომელსაც საქართველოში წინ არ მიუძღოდა არავითარი მუშათა მოძრაობა დიდი ბრძოლა რეოლიუციონური და ნიციონალური ნიადაგზედ და მისი შედეგი პარლამენტარიზმი, სადაც სრული ძალა უფლება ჩაუვარდა ხელთ იმ პოლიტიკურ ინტელიგენციას, რომელმაც ააღორძინა მუშათა მოძრაობა საქართველოში და რომელსაც მრავალი ფერადი დაპირებების თა მასუქები ქონდა გაცემული.

აი ეს უახლოესი მეორე დრო, თუმცა ხანმოკლეა თავისი დასაწყისით, მაგრამ მდიდარია მუშათა რევოლიუციონური გამოცდილობით და ძლიერია იმ გამაშიშვლებელი სინამდვილით, რომელმაც ჩამოაგლიჯა ფარდა სოციალისტების იმ მეშჩანებს, რომლებიც რამდენიმე ათეული წლებით არწმუნებენ საქართველოს მუშათა კლასს ჩვენ მხოლოთ თქვენი ინტერესებით ვცოცხლობთ, და მარტო თქვენი ინტერესებისთვის ვიბრძოდით.

ღღეს არსებულმა სინამდვილემ სულ სხვა დაანახვა საქართველოს მუშათა კლასს ვიდრე მას არწმუნებდენ და სჯეროდა გუშინ. ღღევანდელი ქართველი მოწინავე მუშათა კლასი გამალებულის ნაბიჯით თანდათან რწმუნდება იმ გარდავუალ სინამდვილეში, რომ, მუშათა კლასის საბოლოო მიზნის გამარჯვებამდე რკინის კანონების ზეგავლენით კლასიური კედლებშია მომწყვდეული და მან ყოველ გვარი ბრძოლა უნდა აწარმოოს მხოლოთ კლასიურ ფარგლებში ის უნდა გახდეს თავისი ციხე სიმაგრეთ და არაკითარი დაპირების და დროებითი მიზნისავთის ფეხი არ უნდა გამოდგას თავის კლასიურ სიმაგრიდგან თუ მას უნდა აცდეს მერყეობას, ტყუილ უბრალოთ საკუთარ ენერგიას ხარჯავს, და საკუთარ, თვით განვითარების დახშობას. ამაში თანდათან რწმნდება საქართველოს მუშათა კლასი მაგრამ ამავე ჭეშმარიტებით ვერ დაარწმუნებთ და არც დარწმუნდება მუშათა გუშინდელი ხელმძღვანელები, რომლებისათვისაც მუშათა კლასი საშვალებაა **მათი პოლიტიკური მიზნებისთვის**. ის ორი მოვლენა რომელიც თან სდევს ყოველი ქვეყნის მუშათა მოძრაობას გამოიხატება ორ მთავარ დებულებაში.

1) პოლიტიკა და პოლიტიკური აპეკუნების კუდში გაყოლად და ამით შესუსტება კლასიური ბრძოლისა და კლასობრივი შემეცნების.

2) კლასიური ბრძოლის და მისი თვით შემეცნების წინ წამოყენება, რომელიც მხოლოდ პროფესიონალური კავშირებში ვითაოდება და რომელსაც უნდა დაექვემდებაროს მუშათა ყოველ გვარი პოლიტიკა და პოლიტიკური პარტიები. ამ ორი მიმართულებათა შორის ბრძოლამ დიდხანს გასტანა ზომიერი ევროპის მუშათა შორის, სადაც საბოლოო გამარჯვება ყველგან მეორე მიმართულებას ხვდა წილად. მხოლოდ გამონაკლის შეადგენდა ორი მონარქიული ქვეყანა გერმანია; და რუსეთი. ორივე ადგილას მუშათა კლასზედ ბატონობდენ პოლიტიკური პარტიები, ისინი იყვენ წინ წამოყენებული და მუშათა კლასი და მისი საპროფესიო კავშირი ემორჩილებოდა და ემსახურებოდა მათ. ამის მიზეზი იყო გერმანიის და რუსეთის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც მუშათა პოლიტიკურ პარტიას მუდამ რევოლიუციონური გზაზედ აყენებდა ასეთი იყო მდგომარეობა რუსეთისა და გერმანიის მუშათა მოძრაობისა. რაც პარტიას ნებას არ აძლევდა ოპორტიუნიზმისას და პოლიტიკური მერყეობისას. მაგრამ რაკი შეიცვალა პირობები, და გერმანიაში ძალაუფლება ხელთ იგდეს მუშათა პოლიტიკურმა მიმართულებამ მუშათა კლასს დაანახვა თავისი სიკოტრე, და მოვლენამ მუშათა კლასს მიუთითა ნამდვილი გზისკენ. ყველა ქართველმა მუშამ იცის ორი უტყუარი ცნობა გერმანიიდგან რომელიც დაიბეჭდა „ერთობაში“ პირველი იყო კორესპოდენცია ბ. რამიშვილის, სადაც აღნიშნული იყო ბრძოლა კოლექტიურ პოლიტიკურ სოციალიზმს და მუშათა სინდიკალურ სოციალიზმის შორის მეორე ცნობა იყო გადმობეჭდილი გერმანულ გაზეთიდგან იმავ „ერთობაში,“ რომელიც გვაცნობდა გერმანიის ახალ გაზრდა მუშათა საპროფესიო ყრილობის დადგენილებას. ჩამოცილდნენ პოლიტიკური პარტიებს და შექმნან დამოუკიდებელი მუშათა კავშირი. რუსეთის მუშათა მოძრაობა ჯერ ჯერობით განსაკუთრებული გზით მიმდინარეობს, მაგრამ, ეჭვი არ არის, იგიც ამ გზის დაადგება.

ჩვენში, საქართველოში მუშათა მოძრაობა პირდაპირ შეეჯახა კლასიურ და პოლიტიკურ ერთი ერთობათა წინააღმდეგობას რომელის გარშემო უკვე დაიწყო ბრძოლა. რა ხასიათისაა ეს ბრძოლა და რა მიმართლება უნდა მიიღოს, ამაზე შემდეგი.

(შემდეგი იქნება)

სინდიკალისტი.

ჩიჩერინის ახალი ნოტა.

ეს ერთი ხანია საქართველოს მთავრობასა და რუსეთის საბჭოთა მთავრობის შორის ხშირი ნოტების გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს; შეიძლება ითქვას, რომ ამ ხრივ თავისებური „ჰიდილია“ გამართული. რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარი ბ. ჩიჩერინი მთელ რიგს ბრალდებისას უყენებს საქართველოს მთავრობას და ხშირად ცდილობს შავი ფერადებით დაუხატოს ევროპას ჩვენში დამყარებული წესწყობილება. სამაგიეროდ, არც ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი სტოვებს უპასუხოდ ჩიჩერინის ნოტებს და თავის მხრივ ბევრ რამეში ამხილებს სოვდეპიის მეთაურებს. ყოველივე ეს უეჭველია, არა სასურველი და სამწუხარო მოვლენაა. ჩვენ არ გვინდა შევეხოთ ყველა იმ ბრალდებას, რომელსაც ორივე მხარე ერთიმეორეს უყენებს, მაგრამ ერთი რამ კი გადაჭრით უნდა განვაცხადოთ. ჩვენ ძლიერ კარგად ვხედავთ იმ ბევრ უკულმართობას, და ბოროტებას რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ მათი კრიტიკა, მათ წინააღმდეგ ბრძოლა ეს ქართველი მუშათა კლასის საქმეა და არა იმათი, ვინც დღემდის ვერ გათავისუფლებულა იმპერიალისტური ზრახვებისაგან და თვით რევოლიუციურ ფრაზეოლოგიაშიაც ვერ ახერხებს მის მიჩქმალვას. ქართველი მუშები უკვე იმდენად ერკვევიან თვის მოწოდებაში, რომ თვით შესძლებენ ყველას გასცენ სათანადო პასუხი და სავსებით შეამზადონ ადგილობრივ ნიადაგი დიდი საერთაშორისო რევოლიუციისთვის რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უდიდესად მჭიდრო კავშირ, არ უნდა ექნესთ ყველა ერის მაშვრალებთან, მაგრამ ამ საკითხში მათ მოქმედებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ რუსეთის მთავრობის მრავალი გაუგებარი მოქმედების გამო მის არსად შობილ ეროვნულ თავისუფლებას ბევრი რამ ეღობები წინ. და სწორედ ეს მოვლენაა, რომ აფერხებს მის კლასობრივ შემეცნების სათანადო განვითარებას და ხელს უცარავს მის (რევოლიუციურ ბრძოლას ეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს ყველა მათ, ვინც ქართველი მშრომელი ხალხის დამცველობას და ვექილობას ჩემულობს. აუცილებლად საჭიროა, რომ გაინწმინდოს გამწვავებული ატმოსფერა და სრული ნორმალური დამოკიდებულება დამყარდეს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის შორის. სხვა რომ არ იყოს რა, მათ საერთო ის მაინც აქვსთ, რომ ფრთები შეაკვეცონ ანტანტის იმპერიალისტური სახელმწიფოთა ბნელ ზრახვებს და ხელი შეუწყონ ნამდვილ საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარებას. მხოლოდ ასეთ ატმოსფერაში შეიძლება სრული მეგობრული კავშირი დამყარდეს რუსეთის და საქართველოს მუშათი კლასის შორის. და რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მეტი ძალა შეემატება ძლიერს საერთაშორის მოძრაობას, რომელმაც უნდა გაანადგუროს ბურჟუაზიულ ქვეყანა და დაამყაროს ახალი შრომის სამეფო.

ანაბაპტისტი.

კვირეული

(გაგრძელება).

ბათომი.

ბათომის საკითხი ვერ გადაწყდა!

ყოველ მხრივ სწარმოებს მუშაობა, მაგრამ არ იქნა და ვერა, თავის ერთ ხორცსა და ერთ-სისხლს დედა საქართველოს ბათომი ვერ დაუბრუნდა...

ბათომი ხომ თვალებია საქართველოსი?...

და ვიდრე ჩვენი მტერმოყვარები, ბათომში პარპაშებენ, ვიდრე იმპერიალისტების ხელი ბათომში მუშაობს, განა შეუძლია დაწყნარდეს და ბრძოლის იარაღი საქართველომ დაყაროს?

დღემდი იმედი იყო. წასულ კვირაში ბათომის საკითხი თითქოს უფრო გამწვავებით დადგა და შეკითხვებიც კი შეურთეს. ჩვენ არ ვიცით რაშია საქმე!

როგორ ფიქრობენ ხელის უფალნი!

ხოლო ვინც ეკითხება ხალხს, ან უნდა მის მოთხოვნილებას ანგარიში გაუწიოს და აღიაროს, რომ, უბათომოდ საქართველო ვერ იცოცხლებს და არც უნდა იცოცხლოს!

დღის წესრიგში სდგას ბათომის შემოერთება, თვით მდგომარეობა გვიბრძანებს მას და ამიტომაც დღესვე უნდა შევიდეთ იქ, სადაც გვითმობენ ჩვენი უმცროსი ძმები, მაჰმადიანი ქართველები?

ჩვენ რა თქმა უნდა ხელს ვერ ვკრავთ საქართველოს განთავისუფლების ქამს იმათ, ვინც მრავალ ჭირსა და ლხინს ჩვენთან ერთად ინაწილებდა, იმათ, ვინც ჩვენს სახელს ატარებს, ჩვენი გვარით ცხოვრობს და ჩვენი სისხლისა და ხორცის მოსიარე და მონაწილეა და ამიტომაც უნდა აღსრულდეს „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ და საქართველოს მაგრა ჩაკეტილი კარები საკუთარის ოჯახისა უნდა დაუყონებლივ შეამტვრიოს...

ასე ყოფილა და ასე უნდა იქნეს...

ჩვენი ღვიძლი ძმების ტანჯვასა და წამებას უნდა ბოლო მოეღოს და იგინი, ვითა განუყრელი თანამოძმენი, თქმა არ უნდა, ჩვენთან უნდა იქნენ!

ამით ვერვინ დაგვცინებს რაიმე ნაციონალისტურ ან სახელმწიფოებრივ განზრახვაში...

გულგრილად ვერ უყურებთ მას, რაც ერს განუყოფელ სხეულად მიაჩნია და მას ძალად კვეთენ... გულზე ხელებ დაკრეფილი ვერ გავჩერდებით როცა ჩვენი მრავალ ტანჯული ქვეყნის უბედურებას ვუცქერით, როცა ყოველგვარი იმპერიალიზმი ჩვენს წინააღმდეგ ილაშქრებს და ვუხმობთ მათ, ვისაც უნდა ესმოდეს: „შენი სამშობლო დღეს სდგება, შენ სამშობლოს დღეს თვალებს სთხრიან, შენ მოვალე ხარ აბჯარი აიხსა და ერი და ქვეყანა დაიცვა“!

საფრანგეთის მუშათა კლასი.

ჩვენი უფროსი ძმები, ფრანგი სინდიკალისტები უკვე ბრძოლის ველზე გამოვიდენ. შრომის სინდიკატების დინჯმა, მოფიქრებულმა და მიზან შეწონილმა დაკვრამ საფრანგეთის სულიერი განწყობილება უეცრად შეაშფოთა...

მილიერანი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერც შტრეიკბეხერთა გამოსვლამ, ვერც სამხედრო სამინისტრომ ვერაფერი ვერ გააწყვეს და საფრანგეთი ამ მოულოდნელ მუშურ დატაკებით შეძრწუნებულ ადამიანს დაემსგავსა...

ბირჟა—თითქმის მოკვდა, პირველ მოთხოვნილების საქონელმა საშინლად აიწია, ქატარებელთა მიმოსვლა შეწყდა ბომტანი არავინ იყო, ბურჟუაზიული პარიჟი შეშინდა და დაფრთხა. ყოველი ლონისძიება იქმნა ხმარებული, რომ მუშები იძულებული ეყოთ მუშაობის დასაწყებად.

მაგრამ მტკიცე გადაწყვეტილებით უპასუხა ორგანიზაციულად დარაზმულმა მუშათა კლასმა, და ბურჟუაზიულ საფრანგეთის იერიში მოიგერია, მილიერანი იძულებული შეიქნა დაეთმო მუშებისათვის და საფრანგეთის პროლეტარიატმაც გამარჯვების დროშა ააფრიალა.

რკინის გზელთა გაფიცვა საფრანგეთის სინდიკალისტ მუშებისა ბოწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

მილიერანის მთავრობამ ეს ერთი დასთმო, და ვინ იტყვის, რომ პირველს მეორე ძლიერი გამოსვლა არ მოყვება, ვინ იწინასწარმეტყველებს, რომ მილიერანი ისევ არ დასთმობს და იძულებული არ იქნება საფრანგეთის პროლეტარიატს ქედი მოუხაროს!

ჩვენ კი საქართველოს სინდიკალისტები ამ ფრანგ ამხანაგების გამარჯვებით კიდევ ერთხელ გამოვსთქვამთ ჩვენს სიხარულს და ხაზს ვუსვამთ იმ გაოცებას რომ მხოლოდ კლასობრივად შეკავშირებულ ძალას, რომ მხოლოდ ორგანიზაციულად დარაზმულ პროლეტარიატს ძალუძს ყოველ გვარ ხაზეინის გაღვიძებული მადა და გემოვნება ჩაკლას და ამიტომაც საფრანგეთის პროლეტარიატის ნაბიჯი ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ მუშათა კლასის განთავისუფლება მხოლოდ მუშების საქმეა.

ს. კოლხიდელი

ჩვენი ტაქტიკის გამო.

მანამ ჩვენის ტაქტიკის შესახებ რასმეს ვიტყოდეთ, ზედ-მეტათ არ მიგვაჩნია აღვნიშნოთ რომ ჩვენი კავშირი დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა და რაც მან მიიღო გარკვეული სახე. ამიტომ იგი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და ზოგიერთს საკითხს კვლავ უნდა კრიტიკის დარჯაკში გატარება, განსაკუთრებით სადავოა ტაქტიკის საკითხი. და როცა გაზეთ „ახალ ნაკადში №№ 44, 45 ჩვენ ვნახეთ წერილები „ტაქტიკა,“ რომლის ავტორებიც წერილები ხელმოუწერელია და ალბათ ან საპროგრამო კომისიის შემუშავებულია ან სხვა ორგანოსი. ამ საკითხს თავისებურს ჩვენის აზრით, ცალს მხრივს დაღს ასვამენ, რის გამოც გვეძლევა საშვალება ამხანაგებს გავუზიაროთ ჩვენი შეხედულებანი და ამ რიგათ სგვადასხვა მოსაზრებები მათ სამსჯავროს წინაშე დავსვათ. ამიტომ იმედია ამხანაგი „ტაქტიკის „ავტორები და ის ამხანაგები, რომელნიც მასში გამოთქმულს აზრს იზიარებენ, ამას ჩვენ დიდს კადნიერებათ არ ჩაგვითვლიან.

გზას, რომელიც „საქართველოს რევოლიუციონურ სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირმა“ აირჩია სოციალიზმ—კომუნიზმის განსახორციელებლათ, რათქმა უნდა იცნობს ევროპის მუშათა მოძ. მაგრამ განსაკუთრებით იგი ნაცნობია ლათ-თა ხალხის ქვეყნებში და აქვე უნდა ითქვას ამ მოძრაობის შესახებ ყველგან ერთის აზრის არ არიან. ჯერ ერთი ზოგიერთს ქვეყნებში სინდიკალისტური მოძრაობა გადაკვანძულია სოციალისტურ პარტიების მოძრაობასთან და ეს ორი ორგანიზაცია ერთმანეთის შემავსებელნი არიან და ორგანიულ*) მთელს წარმოადგენენ ერთათ (გერმანიაში, დანიაში და სხვა.)

და მეორეც სიდიკალისტურ მოძრაობის ორი შტოა ცნობილი, რომელთა შორისაც ერთი „ყვითელ“ სინდიკალისტების, ანუ რეფორმისტების სახელით არის ცნობილი და მეორე კი „წითელ“ ანუ რევოლიუციონურ სანდიკალისტების. პირველთა აზრით სინდიკალისტური მოძრაობა არის ისეთი საშვალება უმთავრესათ, რომლის მოხერხებითაც შესაძლებელია სამუშაო დროის შემცირება, ხელ ფასის გადიდება და სხვა ყოველ დღიურ მოთხოვნილებათა ანგარიშის გაწევა და ისინი უმთავრესათ ხასიათდებიან თავიანთი მშვიდობიანი კომპრომისულ მოქმედებით.**) რაც შეეხება მეორე შტოს სანდაკალისტურ მოძრაობისას, თავის წიაღში თავს უყრის ყველას მოუდრეკელს მებრძოლს სოციალიზმისთვის და ისინი აწარმოებენ სამკვდრო სასიცოცხლო ომს ყველა მოწინააღმდეგებთან. ეს მომდინარეობა სანდიკალისტური მოძრაობისა განსაკუთრებით ფეხ მოდგმულია საფრანგეთში იტალიაში და ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიაც.

ჩვენ პირველი ტიპის სინდიკალისტებთან არაფერი საქმე არაგვაქვს, მათთვის გზა დაგვილაცნია, ჩვენ ვიზიარებთ რევოლუციონურ სინდიკალისტების აზრსა და იღებს, ამიტომ როდესაც ამა თუ იმ საკითხზე ლაპარაკი გვექნება და ჩვენი მოსაზრება გვინდა დაუმორჩილოთ სინდიკალიზმის პრინციპებს, ყოველთვის მხედველობაში გვეყოლება რევოლიუციონური სინდიკალისტები.

სინდიკალიზმის პრინციპი წარმოიშვა და აღორძინდა და ასეთ პირობებში.

როდესაც პროლეტარიატმა საბოლოოთ შეიგნო ის რომ თავის პატრონი თვითვე უნდა შეიქნეს, თავის არსებაში უნდა ეძიოსის ძალები, რომლის საშვალებითაც შესაძლებელია არსებულ ეკონომიური მონობისაგან თავის დაღწევა, მაშინ მან გადასწყვიტა სოციალიზმის განხორციელების მესაჭეობა თვითონ იკისროს და ამისთვის დარაზმოს პროლეტარ მებრძოლთა არმიები თავის პროფესიონალურს კავშირებში გაუღვივოს მას რევოლიუციონური ცეცხლი და საჭიროების დროს სავსებით შეგნებული და საომრათ მომზადებული გამოიყვანოს ბრძოლის ველზე. ის ისევე შეუდგა პროფესიონალურს კავშირებში ან სინდიკატებში მტკიცეთ ჩამოყალიბებას. რის შემდეგაც ააფრიალა დროშა, რომელზედაც ეწერა „მუშათა განთავისუფლება, თვით მუშათა საქმეაო“. საფრანგეთში ამ მოძრაობამ უფრო გარკვეული და ფართე სახე მიიღო მუშებში: ჩამოცილდენ პოლიტიკურს პარტებს და იწყეს დარაზმვა სინდიკატებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ მუშათა ამ ლტოლვას სინდიკატებისკენ საფრანგეთში ზოგი სინდიკალისტურ მოძრაობასთან ახლო მდგომი მწერალი სხვანაირათ ხსნის და ზოგი სხვანაირათ. მაგალითად ლაგარდელის აზრით ამის მიზეზი იყო ის, რომ სოციალისტურ პარტიებს ურთიერთ შორის განუწყვეტელი დავა ქონდათ და ეკონომიურ ბრძოლაში შექონდათ განხეთქილება, ყველა მათგანი ცდილობდა თავის იდეების მოხვევას მუშათა პროფესიონალურს კავშირებზე რაიც მუშათა მოქმედებას ასუსტებდა,*) ჩვენი თანამემამულე კ. ორგეიანის და მის თანამოაზრეთა შეხედულებით ამის მიზეზები იყო ის რომ მუშებმა დაკარგეს რწმენა „როგორც უმაღლეს და მაგიურ ძალთა, ისე რწმენა თვით სახელმწიფოსი და მუშათა გარეშე მდგარ სახელმწიფო პოლიტიკურ პარტიათა.*) ჩვენ ისტორიის კვლევას არ გამოუდგებით, მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ. მუშები შეუდგენ პროფესიონალური კავშირების საშვალებით სოციალიზმისკენ გზების გაკაფვას. ისინი ცდილობდენ ასეთს ორგანიზაციებში პარტიული განხეთქილებას ადგილი არა ქონოდა, თუმცა თავიანთ სინდიკატების წევრებს. როგორც პიროვნებას არ უშლიდენ ყოფილიყო რომელიმე პარტიის მიმდევარი თუნდ წევრი, მხოლოდ მას ნებას არ აძლევდენ, თავისი ვიწრო პარტიული შეხედულებანი პროფესიონალურ ორგანიზაციებში შეეტანა. სწორეთ ამ დროს სოც.—დემოკრატიულმა პარტიამ და ანარქისტებმა დაუწყეს ხელის პოტინი. პირველმა იმისთვის, რომ მათ მუშები გაექცათ და პარტიულ ორგანიზაციების კრახის მოლოდინში იყვენ და მეორენი კი იმისთვის, რომ მათი ტაქტიკა ცხოვრებამ დაამსხვრია და ისინი გარიყა. რის გამოც ნიადაგის ძიების ხანაში იყვენ.

ამ რიგათ ეს ორი ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიმართულება, როგორც პრინციპებით აგრეთვე ტაქტიკითაც, რომელთა შორის ულმობელი ბრძოლა ცნობილია ინტერნაციონალში, შეიჭრა სინდიკატებში და ორივე ცდილობდა სანდიკალისტურიან და როგორც იტყვიან, მუშათა დამოუკიდებელ მოძრაობისთვის თავიანთი იდეები და ტაქტიკა თავზე მოეხვიათ.

აქ კვლავ არის გაჩაღებული ბრძოლა ორს მიმდინარეობის შორის და ერთი ჯგუფი სინდიკალისტებისა თუ იზიარებდა სოც.—დემოკრატების პრინციპებს, ამავე დროს თანაუგრძნობდა ანარქისტების ტაქტიკას; მეორე კი წინააღმდეგი იყო აღმსარებელი ანარქისტების პრინციპებისა და სოც.—დემოკრატიის ტაქტიკისა.

აი სწორედ ამ ორს მსოფლმხედველობის ბრძოლათა შორის ჩაისახა სანდიკალისტური მოძღვრება, რომელმაც როგორც ანარქიზმიდან, აგრეთვე მარქსიზმიდან ბევრი რამ ისესხა, შექმნა განსაკუთრებული ტიპი მუშათა მოძრაობის, დაბადა იდეალები და წარმოშვა იდეოლოგია.

არც ერთი თეორეტიკოსი მარქსიზმისა არ ჩაითვლება სინდიკალიზმის თეორეტიკოსათ ისე როგორც არც ერთს ანარქისტს არა აქვს უფლება სთქვას, რომ ის არის სინდიკალიზმის თეორიის შემქნელი არამედ ორივე მათგანი ცდილობდა თავის პრინციპები და ტაქტიკა კონტრაბანდათ შეპარებათ სინდიკალისტურ მოძრაობაში და ამნაირათ იგი ჩაეგდოთ კლანჭებში. დღესაც საფრანგეთში თუნდ სხვაგან სინდიკალისტურ მოძრაობას ესა თუ ის დაღი აზის ეს იმას არ ნიშნავს, რომ სანდიკალიზმმა იგი საბოლოოთ შეისისხლხორცა და ჭეშმარიტს გზას ადგას, არამედ ეს იმასა ნიშნავს, ამა თუ იმ მიმართულებამ, რომლის გავლენის ქვეშაც დღეს იმყოფება სინდიკატები, დროებით გაიმარჯვა და მეთაურების როლი ხელთ იგდო და მით მუშათა დამოუკიდებელს მოძრაობას დაუხშო თავისუფალ მოქმედების კარები. მაგრამ კვლავ ვიმეორებთ, მათი გავლენა სინდიკალისტურ მოძრაობაზე იმას არ ნიშნავს რომ ცნობილ ანარქისტები პელუტიე ემილ პუჟე, თუნდაც ჩვენი თანამემამულე კ. ორგეიანი, რომელნიც დღეს და წინათაც სინდიკალისტურ მოძრაობას უდგანან სათავეში, იყვენ მისი მსოფლ მხედველობის შემქნელნი, ისე როგორც ასეთი როლის კისრებას ვერ გაბედავენ გედი თავის ამხანაგებით საფრანგეთში, ედუარდ ბროშტეინი, ემილ ვანდერველდი სხვაგან, რომელთა შორისაც განსაკუთრებით პირველნი საფრანგეთში ძალიან ბევრსაც სწერდენ სინდიკალიზმზე, და პრაქტიკულათაც ბევრს მუშაობდენ.

(შემდეგი იქნება)

სერ. გერსამია.

*) იხ. Синдикаты и партія ფრანგულიდან თარ. კრივუგდოვისა წერილები მ. ოლსენის, კვისტის და სხვათა.

**) მ. ა. ჩტრმბერგი „Професіональные рабочіе Союзы“ გვ. 22 და 23.

*) ლაგრელდი Революц. Синдикализмъ. გვ. ხვ. *) კ. ორგეიანი-“ სინდიკალიზმი“ გვ. 35.

უკანასკნელი ამგეგი.

ბოლშევიკების ახალი გამარჯვება. ბოლშევიკებს აუღიათ არმავირი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი და სხვა ამ გვარად „მოხალისეების“ ბედი უკვე გადაწყვეტილია.

გადატრიალება გერმანიაში. გერმანიის მონარქისტებმა ჯარის დახმარებით გადატრიალება მოახდინეს და ახალი მთავრობა შეადგინეს; როგორც გაზეთები იუწყებიან, დაწყებულა ბრძოლა მუშებსა და ჯარებს შორის. ახლა მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ დაბოლოვდება ეს ბრძოლა.

ფედერალურ საბჭოს კრება.

შაბათს, აპრილის 17 წ. ქალაქ ქუთაისში შესდგება ჩვენი კავშირის ფედერალური საბჭოს კრება.

განს ხილველია! მომენტი და ტაქტიკა. თითეული ორგანიზაცია მოვალეა განიხილოს ეს საკითხი და განსაზღვრული დავალებით გამოგზავნოს ერთი წარმომადგენელი ყრილობაზე.

(დაწვრილებით შემდეგ).

მთავარი გამგეობა.

დეპოს მუშეგი და ადმინისტრაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუციონურ [illegible] ბიუროკრატიულმა ინსტინქტმა [illegible] ინსტინქტმა თვი. სი წარსული მოიგონა და შეუდგა ახალის გეგმით და სისტემით შევიწყოვებას რკინის გზის პროლეტარიატისას.

დეპოში, მაგალითად, შემდეგ ბოროტებას აქვს ადგილი.

მოსამსახურეს წლიურათ ეძლევა ექვსი უფასო სამგზავრო ბილეთი, ამის გარდა ეძლევა თავისთვის და ოჯახობისთვის თვეში ერთი სასურსათო ბილეთი; მოსამსახურე თავისუფალ დროს მიემგზავრება სოფლათ სადმე იაფ სურსათის შესაძენათ, ან ჰგზავნის თვის ოჯახის წევრს. არის ხოლმე შეთხვევა, ბილეთს კანტორიდგან გაიწერს, მაგრამ ოჯახურის მიზეზების გამო ვერ წავა, ვერ ისარგებლებს ბილეთით, ან არის კიდევ შემთხვევა, ვერ მოასწრებს კასაში შეამოწმებინოს ბილეთი (закомнасировать) ეს მოვლენა, რასაკვირველია, შემთხვევითია და ყველა მომაკვდავს შეემთხვევა.

რკინის გზის ადმინისტრაცია ამ შემთხვევითი მოვლენებს ბოროტმოქმედებათ სთვლის და გასცა ბრანება: როდესაც მოსამსახურე სასურსათო ბილეთს დააბრუნებს, თუ არ აღმოჩნდა იგი ორივე მხრიდგან შემოწმებული სადგურის კასაში, წარადგინოს ის მოსამსახურე და გადაახდევინოს ორმაგი ფასი მგზავრობისა. როგორც ზემოთ ვსთქვით, ხშირი არის შემთხვევა მოსამსახურეს არ უსარგებლია ბილეთით და დაბრუნებისას იგი წარუდგენია ორმაგ ფასის გადასახდელათ.

აი თუ გინდათ კანონი სწორეთ ეს არის.

სად არის სიმართლე, რასფიქრობდა ამ კანონის და ბრძანების გამცემი? - განა არ შეიძლებოდა სხვა ზომა ეხმარა იმისთვის, რომ მოსამსახურე შეუმოწმებელ ბილეთით არ წასულიყოს, ყველა ვაგონს თვისი კონდუქტორი ჰყავს, შეეძლოთ მიეცათ სასტიკი ბრძანება, რომ შეუმოწმებელი ბილეთით ვაგონში არ შეეშვათ, როგორლაც არ უშვებენ უბილეთოებს.

ესეთი მახინჯი კანონის და ბრძანების გაცემა უფრო ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს. ვიდრე ბილეთის შეუმოწმებლობა.

ნუ თუ ის ბოროტება არ არის, რომ მოსამსახურეს არ უსარგებლია ბილეთით და თქვენ კი ორმაგ ფასს ახდევინებდენ, ვერ გამიგია რათ ისჯება ეს უდანაშაულო ადამიანი? დეპოს ცხოვრებაში ათეულობით არის ესეთი მაგალითები და ამას უნდა მიექცეს ღიდი ყურადღება პროფესიონალური კავშირის,

კ. მუშა

რელაქტორ-გამომცემელი

კოლეგია

გამოდის

„პროგნოზის სარეკ-ს“

№ 3.

მონაწილეობენ პოეტები: ტერენტუს გრანელი, კონნე სპერელლი, რაუდ გოგოხია, გ. ბრონშტეინი. ჰერკულეს ყანჩელი, ს. კოლხიდელი, აკ. ბერეკაშვილი, დემნა. ღ. შენგელაია.

ს. ერთაწმინდელი

1910 წ.

პოეტი-არწივი

დაიბეჭდა და იყიდება ყველგან

წიგნი მე-12-ე

1920 წ.